# მოპასუხის პასუხი (შესაგებელი)

-----------------------------------თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია-----------------------------------

სასამართლოს დასახელება, სადაც შეაქვთ შესაგებელი

**მოპასუხე:**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი ღვალაძე**

სახელი, გვარი (სახელწოდება)

თბილისი, გულუას ქ. 6

ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

| ალტერნატიული მისამართი | ტელ: სამსახურის | ტელ: სახლის | მობილური | ელექტრონული ფოსტის მისამართი |
|---|---|---|---|---|
| | 727220; 727239 | | | iurdepsds@yahoo.com |

| სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი | ფაქსი | უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო |
|---|---|---|
| თბილისი, გულუას ქ. 6 | 72-72-37 ----- | 10.00 - 19.00 |

**მოპასუხის წარმომადგენელი (თუ შესაგებელი შეაქვს წარმომადგენელს):**

სახელი, გვარი (სახელწოდება)

ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

| ალტერნატიული მისამართი | ტელ: სამსახურის | ტელ: სახლის | მობილური | ელექტრონული ფოსტის მისამართი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

| სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი | ფაქსი | უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო |
|---|---|---|
| | | |

**საკონტაქტო პირის მონაცემები:**

| სახელი, გვარი (სახელწოდება) | ტელ: სამსახურის | ტელ: სახლის | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტის მისამართი |
|---|---|---|---|---|---|
| ალექსანდრე ჩანქსელიანი | 727239 | | 893 224439 | | alexanderchank@yahoo.com |

*შენიშვნა:* ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ფაქსი მიეთითება მათი არსებობის შემთხვევაში, თუმცა, *სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია ყველა რეკვიზიტის შევსება.*

შესაგებელში *საკონტაქტო პირის მონაცემების მითითება* სავალდებულო არ არის, თუმცა იგი *დაეხმარება სასამართლოს თქვენთან დაკავშირებასა და სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებაში.*

მოპასუხე, მისი წარმომადგენელი (თუ შესაგებელი შეაქვს წარმომადგენელს) ვალდებულია, *შესაგებელში მიუთითოს ზუსტი მონაცემები.*

თუ მოპასუხეს შესაგებლის შეტანის მომენტისათვის აყვანილი ჰყავს წარმომადგენელი, შესაგებელში მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი, ასევე წარმომადგენლის მონაცემები. თუ შესაგებელი შეაქვს წარმომადგენელს, შესაგებელში მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი, ასევე მარწმუნებლის მონაცემები. ასეთ შემთხვევებში შესაგებელს უნდა ერთოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

*ყურადღება!*

*მოპასუხე ვალდებულია, წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი)* სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან *სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში,* რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

შეგიძლიათ, ისარგებლოთ დამატებითი ფურცლით

შტამპის ადგილი

## ცნობთ თუ არა სარჩელს?

მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი. *სარჩელის ცნობის საპროცესო შედეგია სარჩელის დაკმაყოფილება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.*

სარჩელის ცნობა შესაძლოა მოხდეს ნაწილობრივ სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფის შემთხვევაში მოპასუხე ვალდებულია, მიუთითოს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ.

დიახ ☐ არა ☒ ნაწილობრივ ☐

თუ სარჩელს ნაწილობრივ ცნობთ, დააკონკრეტეთ რომელ მოთხოვნას ცნობთ:

შეგიძლიათ, ისარგებლოთ დამატებითი ფურცლით

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სასამართლოში შეიძლება დაიბარონ მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები.

**I.** -------------------------------------- **სახით:**

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი (სახელწოდება)

ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

ტელ: სამსახურის

ტელ: სახლის

მობილური

ელექტრონული ფოსტის მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი

ფაქსი

უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო

**II.** -------------------------------------- **სახით:**

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი (სახელწოდება)

ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

ტელ: სამსახურის

ტელ: სახლის

მობილური

ელექტრონული ფოსტის მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი

ფაქსი

უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო

**III.** -------------------------------------- **სახით:**

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი (სახელწოდება)

ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

ტელ: სამსახურის

ტელ: სახლის

მობილური

ელექტრონული ფოსტის მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი

ფაქსი

უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო

**IV.** -------------------------------------- **სახით:**

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი (სახელწოდება)

ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

ტელ: სამსახურის

ტელ: სახლის

მობილური

ელექტრონული ფოსტის მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი

ფაქსი

უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო

*შენიშვნა:* თუ გსურთ მოწმის სახით სასამართლომ გამოიძახოს ესა თუ ის პირი, გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ თქვენ ვალდებული ხართ, შუამდგომლობების გრაფაში მიუთითოთ ის, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დადასტურება შეუძლია მას. *მოპასუხე, მისი წარმომადგენელი (თუ შესაგებელი შეაქვს წარმომადგენელს) ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს მოწმის, ასევე სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის მონაცემები.*

**შეგიძლიათ, ისარგებლოთ დამატებითი ფურცლით**

## საპროცესო საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც მოპასუხე აპირებს სარჩელისაგან თავის დაცვას

ამ გრაფაში ***ნათლად, გარკვევით და ამომწურავად*** უნდა მიეთითოს, თუ კონკრეტულად რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას; ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას

### ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას?

შეგებებული სარჩელი შესაგებელთან ერთად მოპასუხის სარჩელისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. შეგებებული სარჩელის წარდგენით მოპასუხე არა მხოლოდ იცავს თავს სარჩელისაგან, არამედ იმავდროულად თავის დამოუკიდებელ უფლებების დაცვასაც მოითხოვს. შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით. ***მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დაწყებამდე, თუ საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა ვერ მოხდა საპატიო მიზეზით.*** პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

***შეგებებული სარჩელის წარდგენა არ დაიშვება*** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელების აღძვრის შემთხვევებში.

დიახ ☐ არა ☒ X

შეგიძლიათ, ისარგებლოთ დამატებითი ფურცლით

## ხართ თუ არა თანახმა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

ამ გრაფაში მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს თავისი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. *სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად, რაც ხელს შეუწყობს დავის სწრაფად გადაწყვეტას.*

დიახ ☐ არა ☒

## ხართ თუ არა თანახმა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

*დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია:*
შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა;
მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის;
არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;
შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

დიახ ☐ არა ☒

## ხართ თუ არა თანახმა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

მოპასუხეს შეუძლია შესაგებლის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა, წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

დიახ ☐ არა ☒

ყურადღებით გავეცანი შესაგებლის შევსების ინსტრუქციას და შესაგებელზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ შესაგებელში მითითებული ინფორმაცია მოცემულია სრული სახით და შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, ვაცნობიერებ კანონით მოპასუხისა და მისი წარმომადგენლისათვის დაკისრებულ მოვალეობებს იმის შესახებ, რომ: საქმის წარმოების განმავლობაში მისამართის შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ვაცნობო სასამართლოს, ვინაიდან ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ჩაითვლება, თუნდაც ამ მისამართზე აღარ ვცხოვრობდე; ვალდებული ვარ ხელი შევუწყო სასამართლოში საქმის დადგენილ ვადაში განხილვას. ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ სასამართლო უწყება შეიძლება ჩამბარდეს ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, ხოლო სასამართლო უწყების ჩაბარების შემდეგ, სასამართლოს მთავარ სხდომაზე ჩემი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, ჩემ დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

---------------------------------------------
მოპასუხის ხელმოწერა

---------------------------------------------
მოპასუხის წარმომადგენლის ხელმოწერა

„--------“ „-----------------“ 200- წ.

# მოპასუხის შუამდგომლობები

*შესაგებელში შეიძლება ჩამოყალიბდეს მოპასუხის შუამდგომლობები იმის შესახებ, თუ:*
*ვინ შეიძლება ჩაება პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;*
*რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე*
შესაგებელში შესაძლოა ასევე მიეთითოს სხვა სახის შუამდგომლობები.
*შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია,* რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ერთგვაროვანი შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება.

**გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ? - არა**

განცხადება აცილების შესახებ მოტივირებული უნდა იყოს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე.

☐ სხვა სახის შუამდგომლობები ☒

თუ მოპასუხეს აქვს *რამდენიმე სახის შუამდგომლობა,* ისინი *უნდა დაინომროს პუნქტების მიხედვით, არაბული ციფრებით.*

შეგიძლიათ, ისარგებლოთ დამატებითი ფურცლით

# შესაგებლისათვის თანდართული საბუთების ნუსხა

*თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობა, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობა.* თანდართული საბუთების *ნუსხა უნდა დაინომროს არაბული ციფრებით*

„საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათ განიჯვნის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 14 თებერვლის №156 ბრძანება

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №156

ქ. თბილისი "14" "02" 2008წ.

### საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე, 55-ე მუხლების, 56-ე მუხლის მეორე ნაწილის, 57-ე, 61-ე მუხლების, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის №50 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილება და განაწილდეს შემდეგი სახით:

1. მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაშია:
   ა) მინისტრის აპარატი;
   ბ) გენერალური ინსპექცია;
   გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

2. მინისტრის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მინისტრის პირველი მოადგილე (ირ. ღვალაძე).

3. მინისტრის პირველი მოადგილის (ირ. ღვალაძე) დაქვემდებარებაში გადაცემული იქნეს სამინისტროს სისტემაში შემავალი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები:
   ა) იურიდიული დეპარტამენტი;
   ბ) ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი;
   გ) მდგრადი განვითარების დეპარტამენტი;
   დ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური;
   ე) საგამოძიებო დეპარტამენტი;
   ვ) გარემოს დაცვის ინსპექცია;

ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი.

4. დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს (ირ. ღვალაძე) საპარლამენტო მდივნის ფუნქციების განხორციელება.

5. მინისტრის პირველ მოადგილეს (ირ. ღვალაძე) მიენიჭოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სასამართლოში სამინისტროს სახელით.

6. მინისტრის პირველი მოადგილის (ირ. ღვალაძე) არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მინისტრის მოადგილე (გ. მამაცაშვილი).

7. მინისტრის მოადგილის (გ. მამაცაშვილი) დაქვემდებარებაში გადაცემულ იქნეს სამინისტროს სისტემაში შემავალი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები და საჯარო სმართლის იურიდიული პირები:

   ა) სატყეო დეპარტამენტი;
   ბ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები;
   გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი სატყეო – საბაზისო სანერგე მეურნეობა;
   დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო;
   ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცული ტერიტორიების სააგენტო.

8. მინისტრის მოადგილის (გ. მამაცაშვილი) არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მინისტრის მოადგილე (ვ. გეგელაშვილი).

9. მინისტრის მოადგილის (ვ. გეგელაშვილი) დაქვემდებარებაში გადაცემულ იქნეს სამინისტროს შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

   ა) გეოლოგია – კარტოგრაფიისა და გეოდეზიის სამსახური;
   ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სივრცული ინფორმაციის ცენტრი.

10. მინისტრის მოადგილის (ვ. გეგელაშვილი) არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მინისტრის პირველი მოადგილე (ირ. ღვალაძე).

11. მინისტრის მოადგილის (დ. იოსელიანი) დაქვემდებარებაში გადაცემულ იქნეს სამინისტროს სისტემაში შემავალი შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:
    ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
    ბ) გარემოს ინტეგრირებული მართვისა და ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი.

12. მინისტრის მოადგილის (დ. იოსელიანი) არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მინისტრის მოადგილე (გ. მამაცაშვილი).

13. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს ენიჭებათ უფლებამოსილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცენ მინდობილობები სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით.

14. მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან მინისტრის წინაშე მათ დაქვემდებარებაში გადაცემული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მუშაობაზე.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურესების სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 28 ნოემბრის №1711 ბრძანება.

მუხლი 3. ეს ბრძანება ღიად განთავსდეს (გამოეკრას) სამინისტროს შენობაში, სამინისტროს სინფორმაციო დაფაზე.

**მუხლი 4.** ეს ბრძანება ძალაში შევიდეს მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე (გამოქვეყნებისთანავე).

**მუხლი 5.** ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში – საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ზაალ გამცემლიძე
მინისტრი

ეგზავნება: მინისტრის მოადგილეებს, სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

## ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲛᲝᲞᲐᲡᲣᲮᲔ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲒᲔᲑᲔᲚᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲡ

თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან ამ გრაფაში კონკრეტულად უნდა მიუთითოს მხოლოდ იმ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებზეც ამყარებს თავის შესაგებელს სარჩელის წინააღმდეგ, მიაჩნია, რომ ისინი მნიშვნელოვანია შესაგებლის დასაბუთებისათვის და გააჩნია მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები.

*მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებებით უნდა დასტურდებოდეს მისი შესაგებლის მართებულობა და მოსარჩელის უფლებების დარღვევის ფაქტის არარსებობა,* ანუ შესაგებელი უნდა ემყარებოდეს ისეთ ფაქტებს, რომლებსაც კანონი უკავშირებს სარჩელის განხილვაზე უარის თქმას, პროცესის შეწყვეტას, სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას და ა. შ.

შესაგებელში სრულყოფილად და სარჩელში გადმოცემული თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, *იგი ვალდებულია* მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით, *გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოპასუხის აზრით, სარჩელში მოყვანილი გარემოება სათანადოდ არ არის დასაბუთებული ან ვერ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.*

*გარემოებები უნდა მიუთითოს სათითაოდ, მოკლედ და მკაფიოდ. ისეთ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია ან გაართულებს რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმას და მოვლენის არსის წვდომას შესაძლებელია, ერთ პუნქტად რამდენიმე გარემოების ერთდროულად მითითება. გარემოებები უნდა მიუთითოს პუნქტების მიხედვით და დაინომროს არაბული ციფრებით.*

*თითოეული გარემოების აღწერის დასრულების შემდეგ, მოპასუხემ იქვე უნდა მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ ეს ფაქტობრივი გარემოება.*

*ᲛᲝᲞᲐᲡᲣᲮᲔᲛ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ:*

*არ მიუთითოს ისეთ გარემოებებზე, რომელთაც პირდაპირი შეხება არა აქვთ დავის საგანთან და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე.*

*შესაგებელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია შესაგებელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს შესაგებელში.*

*მას უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით მტკიცებულებათა გამოთხოვის მოთხოვნით, ვისთანაც უნდა იყოს ისინი ან მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.*

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ 2007 წლის 12 სექტემბერს შეტანილ იქნა სარჩელი და მოთხოვნილ იქნა - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებების ბათილად ცნობა.

საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები შემდეგია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 2007 წლის 1 მაისს ჩატარდა აუქციონი, რომლის შედეგების საფუძველზეც გაიცა ლიცენზიები №00628, (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სატყეო უბნის მუხურის, თაიას, ნაფიჩხოვის, მაგანის, ხუდონის, ჯვარის სატყეოზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების თაობაზე", ლიცენზიის მფლობელი შ.პ.ს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრია დეველოპმენტი") ლიცენზია №00627, („სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეოს სამმართველოს ახალციხის სატყეო უბნის ოთის, ზედაველის, ძველის, აწყურის, თისელის, ურაველის, ვალეს სატყეობზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების თაობაზე" ლიცენზიის მფლობელი „ფ/პ ემილ რეინირსი) და ლიცენზია №00624. („კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ყვარლის სატყეო უბნის ახალსოფლის, შილდის, საბუის, გრემის სატყეობზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების თაობაზე" ლიცენზიის მფლობელი შ.პ.ს „საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანია") მოცემული ლიცენზიები საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემულია არსებულ კანონმდებლობის სრული დაცვით შემდეგ გარემოებათა გამო:

I. სრულიად უსაფუძვლოა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ დარღვეულია „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა და „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის შესახებ" მე-10 მუხლის მოთხოვნები. აღნიშნული მუხლებში განსაზღვრულია მოთხოვნები რომლებიც ეხება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის საკითხებს.

(გაგრძელება იხილეთ დამატებით ფურცლებზე)

შეგიძლიათ, ისარგებლოთ დამატებითი ფურცლით

ხაზი უნდა გაესვას შემდეგს: ის, რომ ლიცენზიებით განსაზღვრული ტერიტორიები წარმოადგენენ მაღალკონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეებს, არ დასტურდება სამინისტროს ხელთ არსებული დოკუმენტალური მასალებით. ,,საქართველოს ტყის კოდექსი"-ს 27-ე მუხლის თანახმად ტყეთმოწყობის გზით უნდა განხორციელდეს - „ საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და იშვიათი, რელიქტური, ენდემური, შეზღუდული გავრცელების არეალის მქონე მცენარეებისა და განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნების გამოვლენა". მითითებული ტერიტორიებზე ჩატარებული ტყეთმოწყობის მასალებით ასეთი უბნები არ იქნა გამოვლენილი.

ხოლო სარჩელში მოტანილი სამეცნიერო თუ სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურის მონაცემებს, ისინი, ისევე როგორც WWF-ის დასკვნები არაა სავალდებულო ხასიათისაა და მხოლოდ რეკომენდაციის ფორმას ატარებს.

საჩივრის ავტორის განმარტებით WWF Caucasus ოფისის მიერ მომზადებულია დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ 2006-2010 წლებში საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის გარკვეული ნაწილის დაცულ ტერიტორიებად გამოცხადებას. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, ლიცენზიატების ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია, ყოველი მათ მიერ განხორციელებული ქმედება უნდა იყოს სამინისტროსთან შეთანხმებული და გადამოწმებული. მოცემული დოკუმენტი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, მას არ აქვს ნორმატიული დატვირთვა და შესაბამისად ლიცენზიის გაცემისას შეუძლებელია ლიცენზიის გამცემმა იხელმძღვანელოს ასეთი სახის დოკუმენტებით.

II. ის, რომ დარღვეულია ,,საქართველოს ტყის კოდექსი"-ს 55-ე მუხლი ასევე არ შეეფერება სინამდვილეს, რამდენადაც ბრძანებებში კონკრეტულად არის მითითებული: ტყითსარგებლობის ადგილი; ტყითსარგებლობის სახე; ტყითსარგებლობის ვადები; ასათვისებელი რესურსის სახე და ოდენობა; რესურსის ღირებულება, სხვა გადასახადები და მოსაკრებლები; ტყითმოსარგებლის სხვა უფლებები და პასუხისმგებლობა და სხვა პირობები. რაც შეეხება - რესურსის მოპოვების დასაშვებ ფორმებსა და მეთოდებს, აღნიშნული საკითხები რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით ამასთანავე, თუნდაც მხოლოდ ასეთი ფორმებსა და მეთოდების ბრძანებებში აუსახველობა არ შეიძლება გახდეს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის შესაბამისად:

„1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.
2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32ე ან 34ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, **ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება".** ასეთს კი ადგილი არ ჰქონია, მითუმეტეს, რომ ასეთი ჩანაწერების არსებობის შემთხვევაში სხვა

გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული.

III. დაუსაბუთებელია მხარის განცხადება თითქოს დარღვეული იქნა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) ზემოაღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „თითოეული მხარე I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს" ანუ საზოგადოების მონაწილეობა სავალდებულოა ნებართვის გაცემისას იმ საქმიანობათა განხორციელებაზე ან განახლებაზე, რომელიც ჩამოთვლილია კონვენციის პირველი დანართში. ვინაიდან ტყითსარგებლობა არ წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემას დაქვემდებარებულ საქმიანობას და ამასთან კონვენციის პირველი დანართი ტყითსარგებლობას არ განიხილავს, როგორც გარემოზე ზემოქმედების ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობას ზემოაღნიშნული კონვენციის მოთხოვნები არ ვრცელდება ტყითსარგებლობის ლიცენზირებაზე.

ბ) ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თუმცა (ორჰუსის) კონვენციის მოთხოვნები არ ვრცელდება ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტროს მიერ ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული წარმოების დაწყების შესახებ (გადაწყვეტილების მიღებამდე) ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნა პრესაში ერთი თვით აუქციონის ჩატარებამდე შესაბამისად ყველა დაინტერესებულ პირს ქონდა საშუალება მიეღო ამის თაობაზე ინფორმაცია.

აღსანიშნავია ასევე, რომ სამინისტროს ინტერნეტ საიტზე დაახლოებით 1 წელია განთავსებულია „საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი" რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს სახელმწიფოს მიმართულებას დაადგინოს გრძელვადიან ტყითსარგებლობის პირობები. ამდენად, ამ საკითხზეც საზოგადოება ამ გზითაც იყო სამინისტროს მიერ სრულად ინფორმირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" საჩივრები მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებს და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

IV. ვერ დავეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ზემოაღნიშნული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლისა და მოსაპოვებელი რესურსის მოცულობის დადგენის გარეშე და შესაბამისად არასწორადაა დაანგარიშებული სარგებლობის ლიცენზიების აუქციონის საწყისი ფასი. აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ „ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–4 მუხლის მე–5 პუნქტის შესაბამისად შესწავლილი იქნა ხე–ტყის მარაგის მონაცემები ყველა იმ კვარტლების და უბნების ანალიზით, სადაც დაშვებული იყო ჭრები (საექსპლოატაციო უბნებში საშუალო წლიური შემატების გათვლით, ტყეთმოწყობით დაფიქსირებული მარაგების კორექტირებით და ხე-ტყის რესურსის მოპოვების დინამკის შესწავლით.) ~~გაანგარიშებულია პროგნოზული~~ (იმ უბნებში, სადაც დაშვებული იყო ჭრები) მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობა, შესწავლილია

საექსპლოატაციო უბნებიდან (ჭრას დაქვემდებარებული უბნები) ხე-ტყის რესურსის მოპოვების დინამიკა წლების განმავლობაში, მერქნიანი მცენარეების სახეობები. ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიან სარგებლობას დაქვემდებარებული უბნები, ძირითადად წარმოდგენილია არსებული ტყეთმოწყობის მასალებით საექსპლუატაციო ჭრებს დასაქვემდებარებელი ტერიტორიებით, სადაც საქართველოს ტყის კოდექსის 115–ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, მერქნული რესურსით ორგანიზებული და არაორგანიზებული სარგებლობის დინამიკისა და კორომების შემატებების გათვალისწინებით განისაზღვრა გრძელვადიანი სარგებლობით 20 წლამდე პერიოდში მოსაჭრელი ხე–ტყის პროგნოზული მარაგი. შესაბამისად ტყის რესურსების მარაგი და საწყისი ფასი დადგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ „ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ტყითსარგებლობის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელმა (აუქციონზე გამარჯვებულმა პირმა) უნდა უზრუნველყოს მასზე დამაგრებული რესურსების რაოდენობის ტყეკაფის გამოყოფის სამუშაოების განხორციელება. ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: ხე-ტყის დამზადება აკრძალულია ტყეკაფის გამოყოფის გარეშე, ანუ ლიცენზიების გაცემისას განხორცილდა სალიცენზიო ობიექტების სრული შესწავლა. (მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა სამინისტროს მიმართ ამ ტიპის ვალდებულებას არ ითვალისწინებდა.

V. უსაფუძვლოა მოსარჩელის განცხადება იმის თაობაზე, რომ ლიცენზიების გაცემისას დარღვეულია „გარემოს დაცვისა შესახებ“, „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონები, ვინაიდან:

ა) სალიცენზიო პირობების შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 1 წლის ვადაში, წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სატყეო სამეურვეო საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციის მიერ მენეჯმენტის პრინციპების საფუძველზე შედგენილი მართვის გეგმა, რომელიც ტყის მდგრადი განვითარების (ეკოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკური) სხვა კომპონენტებთან ერთად უნდა მოიცავდეს – ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებებს, ტყის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებებს, ხე-ტყის დამზადების უბნების რიგითობას და ვადებს, ტყის ბიომრავალფეროვნების (ფლორის, ფაუნის და წყლის რესურსების) დაცვის ღონისძიებებს, ტყის გენეტიკური რესურსების სახეობებისა და ეკოსისტემების დაცვის ღონისძიებებს, ტყის ზრდის დინამიურობაზე მონიტორინგს, ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე მიწის ეროზიისგან დაცვის ღონისძიებების, ამსთანავე ლიცენზიანტმა ტყითსარგებლობისას მაქსიმალურად უნდა დაიცვას ტყის ეკოლოგიური მდგომარეობა და ტყის სხვა რესურსები დაზიანებისაგან და ა.შ. (იხ. ბრძანება №470, №471, №472), რაც უზრუნველყოფს უარყოფითი ზემოქმედების აღკვეთის ღონისძიებების გატარების სავალდებულო ხასიათს და არ გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას.

ბ) არასწორია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დარღვეულია „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“საქართველოს კანონის მოთხოვნები. აღნიშნული კანონის მე-10 მუხლის თანახმად „გადაშენების საფრთხის წინაშემყოფ

სახეობებს იცავს სახელმწიფო. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, მათ შორის ნადირობა, რეწვა, მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება), ჭრა და თიბვა, გარდა ამ კანონით, „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშემყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება". როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სალიცენზიო პირობების თანახმად ლიცენზიატი ვალდებულია შეიმუშაოს მართვის გეგმა, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთ დ უნდა მოიცავდეს ტყის ბიომრავალფეროვნების (ფლორის, ფაუნის და წყლის რესურსების) დაცვის ღონისძიებებს. შესაბამისად ლიცენზიატს ეკისრება ვალდებული დაიცვას „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები, ისევე როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიომრავალფეროვნების მდგრადობას.
გ)არასწორია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დარღვეულია„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები, რომლის შესაბამისად „ლიცენზიის გამცემმა სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება დაადგინოს სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები.." აღნიშნული მოთხოვნები სამინისტროს მიერ დადგენილია რომელიც ლიცენზიატისსათვის შესასრულებლად სავალდებულოა.

VI. დაუსაბუთებელია მხარის განცხადება იმის თაობაზე, რომ თითქოს ლიცენზიების გაცემით დაირღვა „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათ გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილება. აღნიშნული მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) დადგენილებით განსაზღვრულია, რომ ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება ტყის რესურსების მართვის (მდგრადი სატყეო მეურნეობის) დანერგვის მიზნით. დღემდე ხე–ტყის დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის ანალიზმა ცხადყო, რომ მოკლევადიანი ტყით სარგებლობა არა მარტო ხელს უშლიდა ტყეების მდგრად განვითარებას, არამედ სახელმწიფო ტყის ფონდს მიაყენა მნიშვნელოვანი (რიგ შემთხვევაში შეუქცევადი) ზიანი. სწორედ აღნიშნული გახდა საფუძველი, რომ ტყეების დეგრადაციისა და სატყეო დარგში არსებული კორუფციის აღმოსაფხვრელად ხე–ტყის დამზადების მიმართულებით ძირითადი აქცენტი გადატანილი ყოფილიყო საქართველოს „ტყის კოდექსით" გათვალისწინებულ გრძელვადიან ტყით სარგებლობაზე. მოცემული ქმედებით ხელი შეეწყობა, როგორც არსებული ეკოსისტემების დაცვას, აღდგენასა და კვლავწარმოებას, ასევე სატყეო სექტორის მდგრად განვითარებასაც, რასაც ასევე იზიარებენ ადმინისტრაციული საჩივრების ავტორები.

ბ) ზემოაღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა სტრატეგიები და მიზნები. ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა–შენარჩუნებით და ტყის რესურების გონივრული მართვის სიტემის (მდგრადი სატყეო მეურნეობის მეთოდების) დანერგვით ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს „ხე-ტყის დამზადებაზე მორატორიუმის უზრუნველყოფა გადაბერებული ტყის კორომებსა და მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეებში და ამ კორომების დაცვის პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება", სწორედ მოცემული განსაზღვრავს

სახელმწიფოებრივ ინტერესს, რომ თანდათან პროგრესირებადი გზით მოხდეს ტყის რესურსებით სარგებლობისას მათი დაცვა.

დადგენილებით განსაზღვრული ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, წარმოადგენს მომავალში (2010 წლამდე) განსახორციელებელ ღონისძიებებს, შესაბამისად მისი შესრულება უნდა მოხდეს ამ ვადაში.

ამდენად, სამინისტროს მიერ ლიცენზიების გაცემა 2006-2010 წლის განმავლობაში კანონმდებლობით არ იკრძალება, აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ლიცენზიანტებისათვის დადგენილი მოთხოვნები სრულად უზრუნველყოფს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა–შენარჩუნებასა და ტყის რესურების გონივრული მართვის (მდგრადი სატყეო მეურნეობის მეთოდების) სისტემის ჩამოყალიბებას.

VII. დაუსაბუთებელია მხარის განცხადება თითქოს ლიცენზიების გაცემით ზიანი ადგება მაღალკონსერვაციული ღირებულებების მქონე ტყეებს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოქმედი კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად ლიცენზიანტებს ეკისრებათ მთელი რიგი ვალდებულებები ზოგადად ტყის ბიომრავალფეროვნებისა და მათ შორის მაღალკონსერვაციული ღირებულებების მქონე ტყეების მიმართ. აღნიშნული კი სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული ტყეების დაცვას.